# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

კვირა, 6 აპრილი — № 5. — 1914 წ.





«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ-ბის» ! დამფუძნებელნი

. 35 წლისთავის შესრულების გამო

№ 5

# შინაარსი:


1. ...და ჩვენ როდისღა აღვსდგებით?, მეთაური 1
2. სადღეისო, ივ. გომართელისა 2
3. ჩვენი ეროვნული რეპერტუარის სიღარიბე, იპ. ვართაგავასი 2
4. ღია კარი, შალვა დადიანისა 4
5. ვერავის ვეტყვი, გ. ფოცხოველისა 4
6. ოგიუსტ როდენი, დავ. კილოსანიძისა 5
7. ედემის კართან, კ. ჭიჭინაძისა 6
8. სიტყვა, ილ. ბახტაძისა 6
9. აღდგომა, იასი 7
10. აღდგომა ღამეს, გ. ქუჩიშვილისა 8
11. სინათლე, ზღაპარი-ფეერია ი. გედევანიშვილისა 8
12. ქართველ მწერალთა წერილები, სოფ. მგალობლიშვილისა 11
13. არონ შეენც?!, ს. ერთაწმინდელისა 12
14. დღეს იგი აღსდგა, გ. შინატეხელისა 14
15. ჩემი ნატვრა, ვ. კირვალიძისა 14
16. ბუნება და ცხოვრება, ვახ. ღამბაშიძისა 15
17. საბავშვო დილა, მეთვალყურისა 16
18. წვრილი ამბები. 16


---


## განცხადებანი

## ქართული თეატრი

**სადღესასწაულო რეპერტუარი.**

ქართულ დრამატ. საზოგად. დასის მიერ სადღესასწაულოდ წარმ. იქნება:

**ორშაბათს, 7 აპრილს, 1914 წ.**

**დილით**

### ქალები

დრ. 5 მ. 7 ს. შილლერისა თარგ. ნ. ავალაშვილისა

ფასი დაკლებულია ✦ რეჟის. **მ. ქორელი.**

**სამშაბ. 8 აპრილს,**

### სამხედრო ბანაკში

დრ. 4 მ. ბეიერლეინისა, თარ. ალ, იმედაშვილისა

ფასი დაკლებულია. ✦ რეჟის. **მ. ქორელი**

### სამეგრელოს მთავარი ლევანი

ისტ. დრ. 5 მოქ., ვ. ყიფიანისა

ფასი დაკლებულია ✦ რეჟის. **ვ. შალიკაშვილი**

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი**

**საღამოთი**

ბ. ვ. გამყრელიძის მონაწილეობით

### სამშობლო

ისტ. დრ. 5 მოქ. და 7 სურ. დ. ერისთავისა

ფასი ჩვეულებრივია ✦ რეჟ. ვ. **შალიკაშვილი**

**შაბათს, 13 აპრილს**

ბ.ვ. აბაშიძისა და ვ. გამყრელიძის მონაწილეობით

### ალუმი

კომედ. 4 მოქ. თარგ. ვ. გუნიასი

რეჟის. ვ. **შალიკაშვილი**

### ვიდრე ხვალ

დრ. 5 მოქ. და 6 სურ. სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული სობოლნიკოვ-სამარინის მიერ, თარგ. ა. წერეთლისა

ფასი ჩვეულებრივია. ✦ რეჟ. ვ. **შალიკაშვილი**

**ადმ. ქ. დრ. საზ. გამ.**

# თეატრი და ცხოვრება

**№ 5**

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (,,**სოროპანი**''-ს სტამბაში). მისამართი:
**Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба"**
**Іос. Имедашвили.**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

**№ 5** კვირა, **6** აპრილი **1914** წ.


## 6 აპრილი.

**...და ჩვენ როდის-ღა აღვსდგებით?**

მეოცე საუკუნეა, რაც კაცობრიობას მოევლინა ახლისა მცნებისა მომნიჭებელი, ხოლო თექვსმეტი საუკუნეა, რაც ქართველმა ერმა იგი ღმერთად ირწმუნა და მისი მტკიცედ აღსარებისათვის არა ერთგზის იყო სასიკვდილოდ განწირული...

და თუმცა მთელი ცხრამეტი ასი წელია რაც კაცთა ხსნისთვის მოვლენილი ჯვარს გააკრეს და აღდგომა მისი ჭეშმარიტების გამარჯვების სიმბოლოდ გარდიქცა, კაცობრიობა დღესაც მოწყურებულია მაცხოვრის მცნების სავსებით განხორციელებას...

მისი მცნების განმტკიცება არა ნაკლებ გვწყურია დღეს ქართველ ერს, რადგან—ჩვენ ქართველი ერი—ქრისტეს სახელით მხოლოდ მონად, უფლება-აყრილ ხალხად გარდაგვქმნეს, ძმობა, ერთობა, სიყვარული, თანასწორობა—კი დაგვიშურეს...

სულიერი მონობა, საზოგადოებრივ ძალათა დაქსაქსვა, ადამიანის პიროვნების არრად ჩაგდება, წოდებრივი განკერძოება, ურთიერთობრივი ზიზღი, თავისთავის რწმენის უქონლობა, საზოგადოებრიობის ფეხქვეშ გაქელვა და კერძოვნობით გატაცება,—აი რა ახასიათებს ჩვენს საზოგადოებრიობას, ჩვენის ქვეყნის მოწინავე—მესვეურთა უმეტესობას...

დაე, მაცხოვრის ბრწყინვალე დღემ მაინც მოგვაგონოს ჩვენი წარსული სიამაყე, გაგვითვალისწინოს დღევანდელი მწვავე მდგომარეობა, რომ გარკვევით და მტკიცედ დავუყენოთ ჩვენს თავს კითხვა: როდისღა აღვსდგებით?

—

35 წ. შესრულდა, რაც ქართველთა მოჭირნახულეებმა მშობელი ერის საჭიროება სისწორით გაითვალისწინეს და ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებას საძირკველი ჩაუყარეს, და იმდენივე წელიწადი სრულდება წელს, რაც დაფუძნდა ქართ. მუდ. სცენა.

ამ 35 წ. განმავლობაში „ქ. შ. წ. გ. ს." გახსნა რამდენიმე პირველდაწყებითი სკოლა, ორიოდე საშუალო სასწავლებელი, რამდენიმე ათი სამკითხველო, ერთი სტამბა, ასიოდე სახელწოდების წიგნი გამოსცა, დაბა-ქალაქებში გაიჩინა განყოფილებანი, ზოგან სათეატრო სექციები მოაწყო, მაგრამ ყოველივე ეს წვეთია ზღვაში იმ მოთხოვნილებასთან, რომელსაც საჭიროებს ქართველი ერი...

ჩვენს სამშობლოში ჯერ კიდევ წყვდიადია გამეფებული, ნამდვილი სკოლები სანთლით საძებარი, ჩვენი ერის მოწინავე ნაწილი—ეგრედ წოდებული ინტელიგენციის დიდი უმეტესობა—სულიერად დაქსაქსული, მდაბიო ხალხი—მუშათა უმრავლესობა და გლეხ-კაცობა—განკერძოებული, საზოგადოდ-კი მთელი ჩვენი ქვეყანა საერთო მიზან-უქონელი, ერის განვითარება ბუნებრივ მსვლელობას აცილებული...

«წ. კ. ს.» დამფუძნებელთ თავიდანვე კანონიერი უფლება მოიპოვეს ქართველთა წინმსვლელობისთვის და თუ დღეს ყველა მოპოებული უფლებით ფართედ ვერ ვსარგებლობთ, ჩვენი უქნარობის ბრალია...

...თუ ჩვენ მშობლიური კერა, სულიერად განმსპეტაკებელი; დაგვეხშო, დაე თეატრმა იკისროს ჩვენი სულიერი აღზრდა-გაწრთვნა, ჩვენს გულში სიმართლისა, სიყვარულისა და ჭეშმარიტების კანდელის ანთება; თუ უკუღმართ პირობთა გამო ვერ მოგვიხერხებია სამშობლო ენაზე სრული განვითარება, დაე—სადაც-კი ქართველი გვარტომის მოსახლეობაა, ,,წ. კ. ს.'' სახალხო სკოლა-სამკითხველოები გავხსნათ, სათეატრო წრეები მოვაწყოთ...

ამ საგანს უნდა ბეჯითად მოეკიდოს მთელი ქართველი ხალხი, არ დაზოგოს ნივთიერი შესწევრპლი, ამ მიზნის განსახორციელებლად ხელი ხელს უნდა მისცეს ,,წ. კ. ს.'', თეატრმა და სხვა კულტ. დაწესებულებათ.

და როდესაც ჩვენი სამშობლო ნამდვილი სკოლა-სამკ.-თეატრებით მოიფინება, მამაპაპათა ნაანდერძევი ნაყოფს გამოიღებს და ჩვენი ერის ბრწყინვალე დღეც მაშინ გათენდება!..

# სადღეისო

ქრისტე აღსდგა!

აი რა გაისმის დღეს მთელს საქრისტიანოში.

და ეს სიტყვები აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევს ყველას გულში, ვინც-კი ჭეშმარიტებისაკენ, სინათლისაკენ მიისწრაფის.

რა არის ქრისტეს აღდგომა მკვდრეთით?

ეს არის გამარჯვება კეთილისა და დათრგუნვა ბოროტისა!

ეს არის გამარჯვება ძმობისა და ერთობისა და დათრგუნვა ჩაგვრა-ყვლეფისა!

ეს არის გამარჯვება სიყვარულისა და დათრგუნვა მტრობისა!

ეს არის გამარჯვება საზოგადო, საერთოსი და უარყოფა კერძოსი!

ქრისტეს აღდგომა მკვდრეთით ნიშნავს მაშვრალ და ტვირთმძიმეთა გამარჯვებას, მათი მისწრაფების აღდგენას, განხორციელებას.

ფარისევლებმა, ჭეშმარიტების მდევნელებმა, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მცარცველებმა ყოველი ღონე იღონეს, რომ ქრისტე მოეკლათ, მისი ხსნება მოესპოთ, მაგრამ ჭეშმარიტება არ მოკვდა და დღეს ძლიერნი ამა ქვეყნისანნიც იძულებულნი არიან მისი მკვდრეთით აღდგომის წინაშე ქედი მოიხარონ და მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ძახილზე: ქრისტე აღსდგაო, უპასუხონ: ჭეშმარიტად აღსდგაო.

ცხრამეტი საუკუნის წინეთ ფარისევლები ითხოვდენ ქრისტეს სიკვდილით დასჯას და პილატე თანახმობას აცხადებდა. მათ ჯვარს აცვეს ქრისტე და სიხარულს მიეცენ: მოვსპეთ ჭეშმარიტებაო; მაგრამ ჭეშმარიტება მკვდრეთით აღსდგა და დღეს ფარისეველთნი და პილატეებიც გაიძახიან: ქრისტე აღსდგაო!

ქრისტე ტანჯულთა და ჩაგრულთა, ქრისტე მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა, ქრისტე მქადაგებელი ძმობის, ერთობისა და თანასწორობისა არ მომკვდარა და არც მოკვდება!

მშრომელი ხალხის მტრებმა მას დაუპირეს მოკვლა, მაგრამ დღეს მათივე მემკვიდრენი იძულებული არიან, აღიარონ: ჭეშმარიტად აღსდგაო.

დღევანდელი დღე მშრომელი ხალხის დღესასწაულია.

დღევანდელ დღეს მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მოძღვარი აღსდგა და ქვეყნის შავბნელი ძალა დაამხო.

დღევანდელი დღე განსაკუთრებით ქართველი მშრომელი ხალხის დღესასწაულია, რადგანაც მრავალზე უმალ ქართველმა ხალხმა იწამა ქრისტე და მისი აღდგომა.

მაშ ქრისტე აღსდგა, ქართველო მშრომელო ხალხო!

შეაფურთხე ეშმაკს, დაივიწყე ტანჯვა, წვალება, დამცირება, უკუაგდე ჭმუნვა, გაიხარე, გამხიარულდი, მოილხინე — დღეს შენი დღესასწაულია!

დეე, დღევანდელმა დღემ გაგისალკლდეოს გული და გაგიმტკიცოს ის რწმენა, რომ შენს ქრისტეს ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ მოჰკლავს და მომავალი შენია.

ქრისტე აღსდგა, ჩემო მკითხველო!

ვ. [illegible]

## ჩვენი ეროვნული რეპერტუარის სიღარიბე

„ოცდაათმა წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც ჩვენში დაიწყო წარმოდგენები, მაგრამ ახლაც მუდამ „გაყრას“, „მზის დაბნელებას“, „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“-ს და სხვებს ვთამაშობთ! ერთს წერტილზე სდგას ქართული რეპერტუარი და ფეხს ველარ იცვლის, წინ ნაბიჯის წადგმას თითქო აღარა ფიქრობს!..“ (ს. მესხი, 241 გვ.).

ასე სწერდა ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტი ს. მესხი ამ ოცდაათი წლის წინედ. თითქმის იგივე შეიძლება განვიმეოროთ ჩვენც დღეს ქართულ რეპერტუარის შესახებ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ თანამედროვე ორიგინალურ პიესას (გედევანიშვილი, შიუკაშვილი, შალიკაშვილი და სხვა), დღესაც ჩვენი თეატრი უკვე შესამჩნევად გათვითცნობიერებულს ქართველს საზოგადოებას „მზის დაბნელებით“, „ბიძიასთან გამოხუმრებით“ და სხვა ამგვარ დაძველებულ პიესებით უმასპინძლდება. მართალია, ჩვენ გვაქვს საკმაო რიცხვი მხატვრული და ღრმა შინაარსიანი ნათარგმნი პიესებისა, მაგრამ ესენი, ღირსეულადაც რომ იყვნენ აღსრულებულ-წარმოდგენილნი, იმდენს

სარგებლობას მაინც ვერ მოუტანს ქართველს საზოგადოებას, რამდენსაც, თუმცა მათზე ნაკლებ შინაარსიანი და ნაკლებ მხატვრულ ღირსებიანი, მაგრამ ჩვენის ცხოვრებიდან ამოღებული, ორიგინალური პიესები.

თეატრი ხომ სკოლაა, სადაც ადამიანი, გარდა ესთეტიურის სიამოვნების განცდისა, სწავლობს და ეცნობა თავის თავს და ცხოვრებას. ამ დანიშნულებას-კი თეატრი მხოლოდ მაშინ აასრულებს, როდესაც ის თავდაპირველად და უმთავრესად ეროვნულ დაწესებულებად გახდება, ე. ი. როდესაც მშობლიურს სცენაზე ფართედ გადიშლება ეროვნული ცხოვრება თვისის ღირსება-ნაკლულევანობით; როდესაც იქ ერის ცხოვრებიდან ამოღებული ცოცხალი ტიპები გადაგვიშლიან ხოლმე თვისის სულის და გულის ნადებს: ეროვნულს მისწრაფებას, ცხოვრების ფილოსოფიას, რწმენას და როდესაც სუყველაფერი ეს გამოითქმება წმინდა და ტკბილი ეროვნული ენით. მხოლოდ მაშინ გახდება თეატრი ხალხისათვის სარკედ, სადაც სწორედ და ნათლად გამოიხატება ერის ავი და კარგი, აწმყო და მომავალი.

თუ ასეთია დანიშნულება ყველა ერის თეატრის, მით უმეტეს ამ დანიშნულების უცვლელად და პირნათლად აღსრულება მოეთხოვება ქართულს თეატრს, ვინაიდან ის ჩვენში თითქმის ერთადერთი კულტურული დაწესებულებაა, სადაც შედარებით თავისუფლად გამოითქმის ჩვენი აზრი, გამომჟღავნდება ჩვენი იდეალი, მისწრაფება, ჩვენი იმედ-მოლოდინი.—

მოეთხოვება... მაგრამ რა უნდა ქნას თეატრმა, თუ მას არ მიაწვდიან შესაფერს მასალას ჩვენი მწერლები, თუ მის მსახურთ-მსახიობებს არ ექნებათ საშუალება ღირსეულად განასახიერონ ერის საუკეთესო შვილთა მისწრაფება და გულის თქმა ანდა ნაძირალთა ზნეობრივი დაცემა და გახრწნა?!

მართლაც, თუმცა ჩვენი ცხოვრება დღეს დიდს, თითქმის აუარებელს, მასალას გვაძლევს დრამატიულის შემოქმედებისათვის, მაგრამ, საწუხაროდ, ჩვენ ვერ მოგვიხერხებია (ალბად ძალა არ შეგვწევს) ამ მასალის გამოყენება, მისი მხატვრულს ფორმაში ჩამოსხმა. ამ საერთო დებულებას ვერ დაარღვევს ორიოდე გამონაკლისი.

ჩვენი თეატრი მხოლოდ მაშინ გაშლის ფრთებს, მხოლოდ მაშინ მიიზიდავს მაყურებლებს, მხოლოდ მაშინ გახდება ნამდვილ სკოლად და მაღალ ღირსებიან ტრიბუნად, როდესაც გამაგრდება, გაძლიერდება, გაჯზრიანდება ჩვენი ეროვნული დრამატიული შემოქმედება, როდესაც ჩვენი მწერლები შეჰქმნიან რთულს და მასთან მხატვრულს ეროვნულს რეპერტუარს.

რასაკვირველია, ასეთის რეპერტუარის შექმნა ჩვენთვის ძლიერ ძნელია, რადგანაც, სხვადასხვა მიზეზთა ზედგავლენით, ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ საკუთარს ცხოვრებას და საშუალებასაც მოკლებული ვართ ამ ცხოვრებას საფუძვლიანად გავეცნოთ, შევისწავლოთ. ამასთანავე, სანამ ჩვენში მწერლობა მხოლოდ ქველმოქმედებაა, ქართველი მწერლები-კი გასტროლიორებად გამოდიან; სანამ მწერლობა ჩვენში პროფესიად არ გახდება და არ უზრუნველჰყოფს თვის მოსამსახურეს, მანამდის ვერ გაღონიერდება ქართული მწერლობა საზოგადოდ, დრამატიული-კი —კერძოდ; მაშასადამე, მანამდის ჩვენი თეატრიც იძულებული იქნება ,,გაყრით‘‘ და ,,მზის დაბნელებით‘‘ დაკმაყოფილდეს და ნათარგმნი პიესებით გაუმასპინძლდეს საზოგადოებას.

შეიძლება ვინმემ სთქვას: ,,უზრუნველყოფობა და გასტროლიორობა რა მოსატანია; რა ჰქნას ქართველმა მწერალმა, თუ ჩვენი ცხოვრება ვერ იძლევა დამთავრებულ და რთულ ტიპებს, სახეებს და მთლად ჩვენი ცხოვრება ისე დაკნინდა, რომ სანუგეშო და საიმედო მოვლენას ვერსად გამჩნევთ‘‘... ჩვენ შეგვიძლია უპასუხოთ გოგოლის—ამ რუსულ ეროვნული დრამის მამამთავრის—ცოტათი შეცვლილ სიტყვებით: ,,თავი მოგვაბეზრა უცხო პიესებმა, უცხო გმირებმა. შეიბრალეთ ჩვენი მსახიობები, რომლებიც იძულებულნი არიან უშნოდ და ულაზათოდ იგრიხ-იმანჭონ სცენაზე. თუ არა გყავთ სათნოიანი და ღირსეული ეროვნული გმირები, იწამეთ ღმერთი, მოგვეცით ჩვენი, ქართველი, ჯამბაზნი, გადაგვარებულნი, ქურდ-ბაცაცანი, ავაზაკნი, გამცემნი და მოღალატენი, სამშობლოში მაინც ვიგრძნობთ თავს‘‘...

**იპ. ვართაგავა**



„ლალატი“-ს დამწერი
**ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი**
ქელისანთებით ავად გახდა. ექიმებმა აუკრძალეს თამაშობა.

# ღია კარი

გულის,
გულის!

ცხოვრებამ სხვათა შორის აი რა მასწავლა:
ძაღლის ამბავი.

ვერაფერი სახარბიელოა ხომ?..

ვიღამაც ბავშვობისას ძაღლი მომიყვანა საჩუქრად.

არც მონადირე ვიყავ, არც თუ დიდი სიყვარული მქონდა ძაღლებისა, მაგრამ უთუოდ იმ თავითვე ჩემში მსახიობური თვალთმაქცობა იჯდა და... შევიფერე. საჩუქარი გახარებით მივიღე.

ძაღლი დაბმული იყო. თვით მჩუქებელმა მითხრა, რომ დააბი ცოტა ხანს, თორემ გამომედევნება. დაბმული გყავდეს სანამ შეგეჩვევოდესო.

ო, რა ბრძნული სიტყვები იყო თურმე.

— სანამ შეგეჩვევოდეს!

ეხლავ გაიგებთ:

მე ბავშურად ვერ მოვითმინე და წავიდა თუ არა მჩუქებელი, ძაღლი ავუშვი.

ძაღლი გაიქცა.

გამოვუდექი.

მირბის ძაღლი, მივრბივარ მე.

ვირბინეთ დიდხანს. ჩვენი ვრცელი ქალა გადავიარეთ.

მოვიქანცეთ.

— ეჰ, წავიდეს ძაღლი, რა გაეწყობა! მე ისევ შინ დავბრუნდები.

მოვბრუნდი.

აი შევუდექი ჩვენს ეზოს აღმართს.

გავიხედოთ — ძაღლი ჩემს გვერდით მორბის.

ენა გადმოუგდია, მოვიდა სულ ახლო ჩემთან, მეხახუნება, კუდს მიქიცინებს.

. . . . . .

მივხვდი, მივხვდი.

— კი არ მირბოდა ძაღლი, ჩემგან-კი არ მიილტვოდა, მე რომ დამინახა გარბენილი, მევე გამომედევნა. მე მეგონა მას მივდევდი, ის კი, თურმე, მე მომდევდა...

დიაღ.

თურმე ვერ გავიგე მაშინ. მხოლოდ ახლა მივხვდი.

და, აი, ცხოვრებამ კარგად მასწავლა ეს ძაღლის ამბავი...

თუმცა განა ისწავლი კაცი ჭკუას ამ საკვირველ ცხოვრებაში?

## ვერვის ვეტყვი...

ყოველ წლივ ისმის საამო, მეტად ძვირფასი სიტყვები: „ქრისტე აღსდგა“!, მას უპასუხებენ: „ჭეშმარიტად!‘‘

რამოდენა ტანჯვა-წვალება, სიყვარული თუ სიხარულია ჩახლართული ამ სიტყვებში!..

რა აღტაცებას, რა ბედნიერებას განიცდიდა წინანდელი მართლმორწმუნე, როცა დგებოდა ეს ძვირფასი დღე!

რა წმინდა, სპეტაკი იყო მაშინ ქალის არსება და ოჯახი! რა მსასოებელი იყო მაშინ ქრისტეს მცნება და რა არის ახლა?

სად განქრა, სად წარვიდნენ ის დრონი და ხალხი?! ვინ იყო მაშინ დედა-ბოძი ქრისტეს მცნებისა? ვინ ანსპეტაკებდა სულსა და გულს ადამიანისას? ვინ იყო აღმზრდელი შვილისა, ვინ უნერგავდა ძმურ სიყვარულსა, ვინ ამშვენებდა, ან აძლიერებდა ოჯახს თუ სამშობლოსა, ვინ იყო მცველი დედა-ენისა და გვასწავლიდა მამულის სიყვარულსა?!.

ეს იყო ქალი-დედა!..

მიტომაც დღეის-დღეს ვერვის ვეტყვი მართლის გულით: ,,ჭეშმარიტად!‘‘, სანამ არ აღზდგება დედა ქართლისა!..

**გიორგი ფოცხოველი**

# ოგიუსტ როდენი

(ესკიზი)

—

— უცნაურია! ნუ თუ თქვენში კიდევ მოიპოვება ნიაზი ხელოვნებისადმი? ეს ხომ სრულიად არ ეფერება ჩვენს ხანას, როდესაც ხელოვანთა ადგილი დაიჭირეს ინჟენრებმა და მექარხნეებმა!—ჩამოართვა სიტყვა როდენმა თაყვანისმცემელს სტუმარს, რომელიც მისულიყო მირონცხებულს ოსტატთან, რათა გაეგო მისი ავტორიტეტიანი შეხედულობა ხელოვნების შესახებ.

თუ რომ თვით მაღალი რენესანსის ღვთაება, არაქვეყნიური ლეონარდო და ვინჩი, თავის სამუშაო ატელიეს აწყობდა ისე, რომ მოწყობილებას მუშაობის გუნება გაეღვიძებინა მხიბლავი ბახუსის შემოქმედში, რომლის ციურ ნიჭს, გენიას, ერთის შეხედულობით, არ ესაჭიროებოდა ეს წვრილმანი, ამის შემდეგ განა საკვირველია, რომ ყველა ხელოვანი, მცირე თუ მორჭმული, ესე იქცეოდეს?! ლეონარდოს ყალამს მადლს ანიჭებდა მუსიკის ტკბილი ხმები, თანამედროვე როდენი-კი გულიანად მუშაობს 1900 წლიდან მხოლოდ თავის კეკლუც სახლში, მედონის ახლოს, პატარა სოფელში, რომელსაც ჰქვიან „ვალ-ფლერი“. საკმარისია ერთხელ შევხედოთ ამ სახლს, რათა მივხვდეთ, რომ იგი ეკუთვნის ხელოვანს, ისე უალერსებს თვალს.

აქ, უსაჩინო სოფელშია წმიდათა-წმიდა იმ დიდებულ მექანდაკისა, რომლის განცხოველებულნი ქმნილებანი ამშვენებენ თითქმის მთელი დედამიწის მუზეუმებს. აქ მოძრაობს ღვთიური წალკატი იმ არსებისა, ვისი შეგირდობაც სასიქადულოდ მიაჩნიათ ხელოვნების მსახურთ. განა არის ისეთი ახალგაზრდა მექანდაკე, საფრანგეთში ნამყოფი და დაბრუნებული სამშობლოში, რომ არ ეთქვას, მისი შეგირდი ვარო, თუმცა როდენს არ ჰყოლია შეგირდები, იშვიათი გამონაკლისის გარდა? რითი აიხსნება ეს წმიდა სიცრუე? იმითი, რომ შეგირდობა ყველასგან აღსარებულ მექანდაკისა, მართლა რომ, ცოტაოდენად მაინც ამაღლებს მათ საზოგადოების თვალში.

ოგიუსტ როდენის მუშაობის მეთოდი განსაკუთრებითია, მასთანაც იგივეა, როგორც ლეონარდოსი, თუ, რასაკვირველია, მივიღებთ მხედველობაში განსხვავებას, რომელიცაა მხატვრობის და ქანდაკების შორის. მონა ლიზას შემომქმედი დიდის ყურადღებით შეისწავლიდა სხვადასხვა გრძნობის გაულობას ადამიანში. მიიწვევდა გლეხებს, უამბობდა ნაირ-ნაირ შესაქცევარ ამბებს, მიაყენებდა შიშს, რათა საკუთარის თვალით ენახა, რა ცვლილება მოხდა მათი სახის გამომეტყველებაში. როდენის სახელოსნო მარად სავსეა ტიტველ ქალთა და კაცთა ცხოველ მოდელებით. ესენი მოძრაობენ, ისვენებენ, მუშაობენ, ოსტატი-კი მთელი დღეობით თვალს ადევნებს მათ, და ამის გამო გასაოცებელი მცოდნეა ადამიანის კუნთების თამაშის, მოძრაობისა, სხეულის მოხაზულობისა. ლამაზი ხაზი მისთვის „მისი ყველაა“. სულელი გედები, რომელნიც უმიზეზოდ კისრებს იგრძელებენ და უსისინებენ უცხო გამვლელს, აკმაყოფილებენ მას თავისი ჭკვიანური შემოხაზულობით.

ბუნებაში ყველაფერი მშვენიერია ხელოვანისათვის. მკაცრი დაუნდობლობით გვიხატავს ჩვენ როდენი კურტიზან ქალს „მზეთუნახავ ომიერს“. ოდესღაც სილამაზეში მზის მოცილეს, ამაყს უსაზღვრო მომხიბლაობითა, ახლა სცხვენიან თავისი უმსგავსობისა, მართლაც: სამად მოხრილი, გამხმარი, მუმიასავით; დამჭკნარი ძუძუებით, უწყალოდ დანაოჭებული მუცლით და დამახინჯებული ხელებ-ფეხებით, იგი წარმოადგენს კაცის სასირცხვილო დამხობას და შეგვიყვანს უსაზღვრო მწუხარებაში.



მზეთუნახავი ომიერი

ძერწვის მეცნიერება, როდენის წარმოდგენით, ნამეტანი მარტივია.

— იმუშავე ისე, გვასწავლის იგი, რომ საგანს არასოდეს არ შეხედო, როგორც ზედაპირს, არამედ ეცადე მისცე მას სიღრმე. სწორედ ეს არის ის საიდუმლოება, რომლის ძალით მოძრაობასთან ერთად მექანდაკე თავის ქმნილებას ასულდგმულებს, ალა-

პარაკებს უსიტყვოდ.

მაგრამ რა არის ეს მოძრაობა ხელოვნებაში? ეს არის უნარი ხელოვანისა გადმოგვცეს შთაბეჭდილება იმ მიხვრა-მოხვრისა, რომელიც გასტანს რამდენიმე წამს, უნარი, რომელიც აგრძნობინებს მაყურებელს ნაკვთის რიტმს. აბა, შევხედოთ როდენის იოანე ნათლისმცემელს! ჯერ მარცხენა ფეხს! — ჩვენა ვგრძობთ, რომ მას დასწოლია მძიმედ მთელი ტანი, გადავიდეთ ახლა მარჯვენაზე და ვიგრძნობთ, რომ ტანი შეირყა. დავაცქერდეთ უკანასკნელ მარცხენა მხარს; — თითქოს იგი იწევსო, რათა ჩამორჩენილმა ფეხმა შესძლოს სხეულის გადატანა წინ.



**იოანე ნათლისმცემელი**

როდესაც უტყუარი მექანდაკე ჰქმნის ნაკვთს, უპირველესად უნდა ჩაისახოს გულში მისი საერთო მოძრაობა, რომელიც ბოლომდის, წვრილმანების გამოსახვამდის, არ უნდა დაივიწყოს; ამისათვის-კი აუცილებლად საჭიროა სინტეზის ნიჭი, არა-ჩვეულებრივი გონებრივი მუშაობა. სწორედ ეს ნიჭი იყო მიზეზი იმისა, რომ ლეონარდომ დაიჭირა საპატიო ადგილი მსოფლიო მხატვართა ტანლანში; სწორედ ამ ნიჭით აიხსნება დიდება როდენისა. აზრი უნდა იყვეს ხელოვნებაში, რადგან მან უნდა გამოიწვიოს ოცნება და ცოდნა.

იშვიათს მომაკვდავს შეხვდომია ხვედრად ის პატივი და თაყვანისცემა, რომელიც ერგო ოგიუსტ როდენს. მაშინ, როდესაც რენესანსის არწივმა ლეონარდომ სული დალია, დავიწყებულმა თანამემამულეთაგან, საფრანგეთში, როდენი აღსარებულია არა თუ სამშობლოში, არამედ უცხოეთშიაც, როგორც ციური ნიჭით და ღვთაებრივი ნაპერწკლით დაჯილდოვებული ადამიანი. ბედნიერი! იგი თვით პატარა ფენნიაშიც-კი, ჰელსინკის ნაციონალურ მუზეუმში, ამაყად წარმოდგენილია გვერდით თვით ერის სიამაყის ხელოვანებთან.

დავ. კილოსანიძე

# ედემის კართან

... და დაიხურა სამოთხის კარი.
ბედმა უმუხთლა ედემის შვილებს!
შორით მოესმათ ქაჯის ხარხარი
ღვთისგან შერისხულთ და განდევნილებს.

ცა მრისხანებდა, ღმუოდა ქარი.
იკლაკნებოდა ღრუბლებში ელვა;
წარბშეჭმუხვნილი სდუმდა ადამი,
ფერდაკარგული სტიროდა ევა...

კ. ქიქინაძე

# სიტყვა

ეს იყო შორეულ წარსულში. მსოფლიო ბნელეთს მოეცვა. იდგნენ ერთის მხრით განცხრომის ძენი — მეორეს — ჩაგრულ-გვემულნი. პირველთ მეორეთა უბედობაზე აეგოთ თვისი განცხრომის სამეფო. ჩაგრულთ არ ყავდა მხსნელი და ეს მხსნელი მოევლინა მათ. ის იყო სიტყვა. სიტყვა დაიბადა მწყემსის ბაგაში, გაიწრთვნა და გაიფურჩქნა სიღარიბეში, სიტყვა ესე პირველად ალინთო ღარიბულ ქოხში და ცხოველმყოფელი ძალით გაალხო ბნელით მოცული სული ჩაგრულ-გვემულთა. სიტყვა ესე, დამაშვრალთა და ტვირთმძიმეთა სახსნელად მოვლინებული, ლახვარივით ჩაესო გულში განცხრომის ძეთ. აღზდგენ ნათელი სიტყვის წინაალმდეგ ბნელეთის მოციქულნი. მწიგნობარ-ფარისეველნი შეიარაღდნენ მათი ბატონობის შემმუსრავის წინაალმდეგ და მხსნელი კაცობრიობისა ჯვარს გააკრეს, მოკლეს სიტყვა, მარა ნათელი სიტყვა აღსდგა მკვდრეთით და თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი. სიტყვის აღდგომა — ეს ნათელის გამარჯვებაა ბნელზე; სიტყვის აღდგომა — ეს ჩაგრულთა გამარჯვებაა მჩაგვრელებზე. იხაროდეთ, ტვირთმძიმენო და მაშვრალნო, რამეთუ სიტყვა, მოვლინებული თქვენდა სახსნელად, დღეს აღსდგა. გოდებდეთ, მჩაგვრელნო, რამეთუ სიტყვა, თქვენ-მიერ განწირული, არ მომკვდარა-ცოცხალია.

ილია ბახტაძე



**ნიკო ნიკოლაძე**

ავადმყოფობის გამო

# ალდგომა...

ალდგომა დილაა...

სახლიდან გამოვედი და მძიმე ნაბიჯით დავეშვი ქალაქისაკენ...

ზართა გუგუნი ჰაერსა სძრავდა, ქალაქს სადღესასწაულო ელფერი დასდებოდა... და მეც მწყუროდა შვება-სიამე...

ვიწრო ქუჩებში მოვდიოდი, ქოხმახთა შორის. ერთი ჩაშავბნელებულ ქოხის ღია კარიდან მომესმა:

— დედა, პური ველარ მოიტანე?..

— იქნება, შვილო, იქნება, ცოტა კიდევ დაიცადე...

მე შევდექი. კვალად მომესმა ბავშვის ხმა:

— დედილო, რა ამბავია, რომ ამდენ ზარბესა რეკავენ და ყველანი მორთულან?..

— დღეს... ალდგომაა, მიუგო სევდიანად დედამ...

— ალდგომა?! მერე ჩვენა? ჩვენ არავინ არას მოგვიტანს?! ტანისამოსს, პასქას...

დედამ მწარედ ამოიგმინა:

— ილოცე, შვილო, მამა ციხიდან ჩქარა გამოუშვან და შენც გექნება ტანისამოსიც და პასქაც...

—

სწრაფად ჩავცედი ამ ქოხს, ფართე ქუჩაზე გავედი და ქვაფენილზე გავწიე...

ერთი დარბაზის მეოთხე სართულიდან შემომესმა მოლხინეთა ხმა:

— გრიგორიო, გრიგორიო, ეს შენი სადღეგრძელო იყოს... გიცოცხლოს ცოლშვილი და ასეთი სავსე სუფრა არ დაგილიოს... ქრისტე აღსდგა.!.

— ჭეშმარიტად!.. ამინ!.. ტუშ!—დასძახეს მოლხინე-გამომთვრალთა შერეულად და საკრავთა ხმა ზართა გუგუნს შეუერთდა..,

—

გამოვცდი სვებედნიერთა უბანსა და მწარე ფიქრთა განსაფანტავად მტკვრის პირისაკენ გავეშურე...

თოთხმეტ-თხუთმეტი წლის ქალი, ფეხშიშველი, თავშალახდილი, ძონძებში გახვეული, წესიერების მცველს ჩაებოჭნა და შუა ქუჩაზე მიჰყავდა...

ქალს სირცხვილ-სინანულის ალმური ასდიოდა სახეზე...

— სად მიგყავთ, გაუშვით,—გზა გადავუჭერი წესიერების მცველს..,

მან ერთი შემომიბღვირა და ქალითურთ თვის გზას გაუდგა...

— რად დაუჭერიათ?

—- ეჰ, შვილო, ჩემის თვალით რომ არ დამენახა, არ ვირწმუნებდი,—მომიგო ერთმა მოხუცმა: საცოდავი ქალი ქუჩისპირას კედელთან იყო ატუზული, კრძალვით, მორიდებით... ამ დროს გვერდს ჩაუარა იმ კაცმა,—აგერ, ხომ ხედავ, როგორ მიიბღინძება... ვგონებ ამ ქალაქის გამოჩენილი მდიდარია,—ხელი გაუწოდა ქალმა — მიწყალობე რამეო, და წყალობის ნაცვლად... ჯოხით აირიდა, მასთან წესიერების მცველს ანიშნა: ასეთ მაწანწალებს ქუჩაზე რათ აწანწანებთ, პატიოსან და კეთილმორწმუნე ქრისტეან ხალხს აწუხებენო...

შეპყრობილი ქალი თვალს მიეფარა... ნაღვლიანად გავშორდი მოხუცს...

— ქრისტე აღსდგა, ძმაო! გადამეხვია მეგობარი, გადამკოცნა და უცბად მკითხა: რა დაგმართვია, არ აცი, რომ დღეს ალდგომაა...

— ალდგომა?! ვკითხე გაშეშმიშებულმა და უაზროდ ავედევნე...

**ია**



კ. ანდრონიკაშვილი

ქიათურის დასის რეჟისორი

# ალდგომის ღამე

ღამეა... მზებნელ ქვეყანას
ჯერაც არ გასთენებია,
გოლგოთის მთის ქვეშ, კვნესაში,
უფრო ღრმად ჩასძინებია.

ღამეა. საპყრობილეში
ზის სათნოების უფალი...
მოსთქვამს და მოსთქვამს მარიამ,
იესოს ქირისუფალი...

**გ. ქუჩიშვილი**



ნ. გვარაძე

ბაქოს დასის რეჟისორი

# სინათლე

(იხ. „თეატრი და ცხოვრება" № 4)

### მოქმედება მესამე

### სურათი I

მთიანი ადგილი, აქა-იქ ტყე მოსჩანს. უკანა სცენის მარცხენა მხარეს ფართო გამოქვაბული. ცისფერი სინათლე. იქვე გამოქვაბულთან ნაკადული. საზოგადოდ სურათი ნაზი და მომხიბვლელია. გამოქვაბულიდან გამოდის **ავთანდილი.** ხელთ უკავია ოქროს შანდალი სანთლით. დაგლეჯილ ტანისამოსშია. ხანჯალი ჰკიდია.—გამოვა გამოქვაბულიდან და ნაკადულთან დაჯდება, წინ დაიდგამს შანდალს, ამოიღებს ტალკვესს და ცეცხლს გამოჰკვესავს. ანათებს სანთელს და უმალ ტყიდან გამოცვივდებიან ფერიები: **პირიმზე, მთვარია, ბროლისახე, ნათელა, წკრიალა** და **ანკარა.**

**პირიმზე.** მიირთვი, მეფის შვილო!..

**ავთანდ.** მეფის შვილო?.. რომელი მეფის შვილი მნახეთ... ან საიდან განჩდით თქვენ?.. ვინა ხართ?..

**მთვარია.** რა წამს ოქროს შანდალს აანთებ, უმალ ჩვენ გავჩნდებით, სადაც უნდა იყვე... ვის ხელშიც ეგ შანდალია, ჩვენ მისი მსახურნი ვართ... გააქრობ და ჩვენც გავქრებით...

**ბროლისახე.** გვიმსახურე, მეფის შვილო!

**ავთ.** კიდევ მეფის შვილი... მე რა მეფის შვილი მნახეთ-მეთქი... რის მეფე, რის მეფის შვილი? ერთად-ერთი მეფე და ქვეყნის მბრძანებელი არის დიდებული ქაჯთა მეფე, სახელოვანი დავრიში... მე კი მისი მონა-მორჩილი...

**წკრიალა.** ნუ თუ მართლა შენი ვინაობა არ იცი?

**ანკარა.** ნუ თუ დაგავიწყდა შენი სამშობლო?

**ნათელა.** ან თქვენი დიდებული სამეფო?

**პირ.** ან სახელოვანი მეფე ჯიმშერი, მამა შენი?

**ბროლ.** შენი შვენებით სავსე დედა, დედოფალი?

**მთვ.** ნუ თუ არც შენი ტოლი და ამხანაგი ძმა გორჯასპიც არ გაგონდება?..

**წკრ.** რამ დაუკარგა მეხსიერება?..

**ნათ.** არც ბრწყინვალე თქვენი სასახლე, გულ-წარმტაცი სასახლის ბაღი გახსოვს?..

**ავთ.** თქვენ თურმე სიზმრებს მიამბობთ და მე კი მართალი მეგონა... სასახლე, მეფე... სამშობლო... ძმა... დედა... ოჰ, წინად თითქოს მაგგვარ სიზმრებს ვხედავდი ძილში... დაიცა, დაიცა... სასახლე... ოქროთ მოვარაყებული გაჩირაღდნებული დარბაზები... ეზო, მოედანი დიდროვანი კაკლის ხეებით... ბაღი... ჰო ო, წინად ხშირად ვხედავდი სიზმრად... ხშირად ვიღაც მშვენიერი ქალი მესიზმრებოდა, მიალერსებდა, მკოცნიდა... სულ კი სტიროდა... ოთხი წელიწადი მეტი იქნება ეს ქალიც აღარ მინახავს სიზმრად...

**პირ.** სულ გადავიწყებია...

**მთვ.** გადაგვარებულა!..

**ბროლ.** მოუჯადოებიათ!..

**ნათ.** მე კი მგონია, ჰკვაზედ შერყეულა...

**წკრ.** ქაჯების მიერ შეჩვენებულია...

**ანკ.** ჯოჯოხეთით გარდაქმნილია...

**პირ.** აქ რად მოსულხარ, ან საიდან მოსდიხარ?..

**ავთ.** ჩემმა ბატონ-პატრონმა დიდებულმა ქაჯთა მეფემ გამომგზავნა, აი, ამ შანდლისათვის... ეს შანდალი უნდა მივართო მას... ცხრა მთა გადმოვიარე, ოთხი წელიწადია რაც მოვდივარ და ჩემი მეფის ბრძანება კი ალვას-

რული... ახლა დავბრუნდები და მივართმევ შანდალს...

**მთვ.** მაგოდენა ხანს რითი საზრდოვებდი? ან ჭამა არ გინდოდა, ან სმა?..

**ავთ.** ჰმ! ჩვენს მეფეს ყოველისფერი შეუძლიან... რომ მგზავნიდა, აი ეს სალამური მიბოძა. ამას დაუკრავ და უმალ მომერთმევა ყოველგვარი სასმელ-საჭმელი...

**ფერიები.** (ერთად) ახლა კი გვესმის... ახლა კი ვხედავთ...

**ავთანდ.** დიდი გზა გამოვიარე, ბევრი რამ ვნახე... ბევრი რამ შევისწავლე... ვარჩევ და ვიგებ ფოთოლთ შრიალსა, როდესაც ნაზი სიო მათ შეეთამაშება... მესმის ტყის ჩურჩული და ხმაურობა... ფრინველთა გალობა... მგლის ღმუილი, ტურის კნავილი, ბულბულის ყეფა, ყვავის ჩხავილი, მერცხლის ჭიკჭიკი, — ყოველისფერი შევისწავლე... ბევრი რამ გადამხდა, მაგრამ ძლიერია ქაჯთა მეფე და მის მოციქულს, მისგან მოგზავნილს ვერარას ავნებს ვერვინ ამ ქვეყნად... ვებრძოლე ვეფხვსა, ვეომე ლომსა, დავამარცხე მგელთა ხროვა... აი, ეს ხანჯალი, ხომ ხედავთ რა კარგია... ხელად ვიშოვე... ვიღაც მგზავრს გზაში დასძინებოდა,



ეს ხანჯალი ზედ [illegible]ეკრა... მივეპარე, ვწვდი დიდს ლოდსა და დავეცი თავში... არც კი ამოუოხრავს, სწრაფლ სული ამოსძვრა... შევხსხენი ხანჯალი და არა ერთხელ დავლოცე ქაჯთა მეფის დიდება...

**პირ.** შენ მოჰკალ ადამიანი?..

**ავთ.** მერე რაო?..

**მთვ.** მძინარე კაცი?..

**ავთ.** მაშ ისე ხანჯალს ხომ არ დამანებებდა?..

**ბროლ.** ნუ თუ არ შეგეცოდა?..

**ავთ.** ხანჯალი მომეწონა და შეცოდება კი არ ვიცი რა არის...

**წკრ.** საშინელებაა!..

**ავთანდ.** ოთხი მთა რომ გადმოვიარე, მაღალ მწვერვალზე ვიღაც მეცხვარე იჯდა და აი ამ ტალკვესით ცეცხლსა ჰკვესავდა... ცხვრის ფარა ფერდობზე გაფანტული იყო... შორი-ახლოს ძაღლები ეყარნენ... მივედი, მივესალმე, ლაპარაკი ჩამოვუგდე.. მიმიწვია, ახალი ყველით და კარაქით გამიმასპინძლდა... ამ დროს მარცხნივ ძაღლმა დაჰყეფა.. მეცხვარე იქით მიბრუნდა... ვატაკე ზურგში ხანჯალი... ერთი კი დაიხრიალა და დაგორდა ფერდობზე... დავეწიე, ტალკვესი წავგლიჯე ხელიდან და გამოვ-

წიე... კიდევ მადლობით ვახსენე ქაჯთა მეფის სახელი...

**ფერიები**. საშინელებაა, საშინელებაა.. ქვესკნელის ძალას შეუშორკია... (ავთანდილი მიწვება, თითქოს სთვლემს. ფერიები ლეჩაქებს უნიავებენ)

**ავთ**. თითქოს გამოქვაბულში ბევრი მეძინა და მაინც კიდევ ძილი მერევა... (ამთქნარებს, ფერიები უფრო სიჩქარით უნიავებენ ლეჩაქებს. ავთანდილს ჩაეძინება)

**პირ**. ჩაეძინა. აბა, ჩქარა ფერიებო, უშველოთ, განვაშოროთ ქაჯთა ძალა, დავიხსნათ ჯოჯოხეთისაგან!.. სწრაფლ ამოაცალეთ სალამური და ტალკვესი (ამოაცლიან), ხანჯალი მოხსენით (მოხსნიან), მოიტათ აქა... შეულოცოთ და განვწმინდოთ ყოველ სიბოროტისაგან... (ფერიები სწმინდავენ ამ ნივთებს თავისი ლეჩაქებით)

**ფერიები**. შავაბნელნო ძალნო,
შხამით სავსენო,
ქვესკნელის მკვიდრნო,
ბოროტის მქნელნო,
ნუ ერჩით ჭაბუკს!
წარვედ გაჰქრენით,
ჯურღმულს ჩავარდით!

**პირ**. როგორ იცვალა ფერი სალამურმა, როგორ გაბრწყინდა ტალკვესი და ხანჯალი... გაეცალა ეშმაკის ძალა, წყევ..ა და კრულვა... (სალამურს და ტალკვესს ისევ ჩაუდებენ ჯიბეში და ხანჯალს შემოარტყამენ)

**მთვ**. ახლა კი მოიგონებს ყოველისფერს... (ისმის მუსიკა და ხორო: «სამშობლო, ჩემო ზურმუხტო!» და სხვა. ფერიები უნიავებენ ლეჩაქებს. გამოქვაბულში ცისფერი სინათლეა და ბუნდოვანად გამოჩნდებიან მეფე ჯიმშერი, დედოფალი და გორჯასპი. მათ ხელები ავთანდილისკენ აქვთ გამოშვერილი, თითქოს ეძახიან)

**ავთ**. (ძილში წამოჯდება და გაიშვერს ხელებს გამოქვაბულისკენ) სამშობლო... დედა... მამა... ძმა...

**პირ**. ხედავს, ხედავს... აგონდება!.. (მივა და შეუბერავს ავთანდილს. გამოქვაბულში სინათლე ჰქრება)

**ავთ**. (წამოხტება) სამშობლო... დედა... მამა... (ყვირის) მახსოვს, მახსოვს... დედა, დედა... წამიყვანეთ!.. მასწავლეთ გზა!.. (მუსიკა და ხორო ნაზის ხმით) მახსოვს ჩვენი სასახლე, ჩვენი ბაღი, ჩვენი კაკლის ხეები... ჩემი ტოლამხანაგები... გევედრებით, მასწავლეთ გზა... მიჩვენეთ...

**პირ**. წადი, წადი!.. მიჰხედე შენს სამშობლოს.. იგი დიდს განსაცდელშია... შენ მოგელოდებიან გლოვით და სევდით დატანჯულნი შენი მშობლები, შენი ერი... აიღე ხელში შანდალი... იგი სინათლის ქვეყნიდან არის... იგი გაგიშუქებს სწორ გზას... მაგას მისდიე... ნურსად აუხვევ... სინათლით მოფენილი შენი ქვეყანა კვლავ აღყვავდება...

**მთვ**. უძლურია სინათლესთან ქვესკნელთა ძალა...

**ბროლ**. სინათლე არღვევს სიბნელეს...

**ნათ**. აშუქებს და აცხოველებს ქვეყანას...

**წკრ**. კვლავ გაიხარებს მეფე ჯიმშერის ბრწყინვალე სასახლე...

**ანკარა**. კვლავ გაიფურჩქნებიან და გაიშლებიან ნაირ-ნაირი ყვავილ მცენარენი სასახლის ბაღში...

**ავთ**. მივდივარ, მივდივარ... ახ, ნეტავი ფრთები შემესხას და უმალ მივფრინდე ჩემს სამშობლოში, ჩემს მშობლებთან.. დედა, მამა, ძმაო.. (მუსიკა უკრავს „სამშობლოს“)

**ავთ**. თითქოს გუშინ დავტოვე ჩვენში მშვენიერი ბაღი... თითქოს გუშინ მოვშორდი დედიჩემის მკერდს... თითქოს გუშინ მომგლიჯეს მშობელ ერს და მიწას... (ადგება, შანდალი ხელში უკავია) სინათლევ, შენ გამიშუქე სწორე გზა, შენ მიმიყვანე სამშობლოში და, ვფიცავ, მთელს ჩემს სიცოცხლეში არ გიღალატებ.

**პირ**. რა გაჭივრებაშიაც კი უნდა იყო, მიიდე ყურთან შენი სალამური, იგი განწმენდილია ყოველგვარ სიბოროტისაგან, იგი ახლა წყაროა სიკეთისა, სიმართლისა... მიიდე ყურთან და იგი გიჩურჩულებს როგორც უნდა მოიქცე.. მაღლა გეჭიროს ოქროს შანდალი, მნათობი წინმსვლელობისა და წარმატებისა. წადი. დაადექ გზასა... ნურსად შეუხვევ, ნურსად შეჩერდები.. შანდალი და სალამური კარგი თანამგზავრები გყავს... გზაში არ მოგწყინდება... შანდალი სამშობლოს სურათებს დაგიხატავს თვალ-წინ, სალამური ნაზ მშობლიურ ჰანგზე დაგიმღერა... გააქრე სანთელი, ჩვენ წავალთ... და გახსოვდეს, როდესაც კი აანთებ

სანთელს მაგ შანდლისას, უმალ ჩვენ გავჩნდებით, სადაც კი უნდა იყო... (ავთანდილი აქრობს შანდალს. ფერიები ტყეში შეცვივდებიან. ავთანდილი მიდის, ხელში მახდალი უჭირავს- არე-მარე ვარდის ფრად იღებება. მუსიკა მხიარულ მარშს უკრავს)



# ქართველ მწერალთა წერილები

(მოგონებანი)

## III

### გიორგი წერეთელი



1842—1900

გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი იყო მესამოცე წლების ერთი თვალსაჩინო მოღვაწეთაგანი. სამოციანი წლები საქართველოში ოქროს ასოებით არის აღსაბეჭდი, გაჩნდა მთელი გუნდი მოღვაწეთა: ილია, აკაკი, გიორგი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, მათ ზედ მოჰყვნენ სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვანი. მაშინდელ დროს საქმე ბევრი იყო. შედარებით პაწია გუნდი მესამოცე წლებისა ვერ ასდიოდა მუშაობასა, ათასად იჭრებოდა, ყველა დარგში მუშაობდა: რადგან მუშა ხელი არა ჰყოფნიდა. ამიტომაც იყო, რომ ერთი და იგივე მოღვაწე-მწერალი ბელეტრისტიც იყო, პოეტიც, პუბლიცისტიც, არქეოლოგ-ისტორიკოსიც. მოითხოვდა დღის ვარამი, პუბლიცისტური წერილი უნდა დაემზადებინა, მოითხოვდა სხვა დრო, ისტრიული და ასე ამგვარად. ასე მოღვაწეობდა ილია, აკაკი, გიორგი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე და სხვ. გიორგი წერეთელი ცნობილია უფრო როგორც ბელეტრისტი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, მისი „ჩიკოლიკიკიკოლიკი“, „მამიდა ასმათი, „ლომ-კაცი“ და სხვ. დაუვიწყარი იქნება ქართულს მწერლობაში. გიორგის დიდი ღვაწლი გამოიხატება იმაში, რომ იგი დიდი ორგანიზატორი იყო, დროს აღდოს ამღები: მან დაარსა „დროება„, „სასოფლო გაზეთი“, შეიძინა სტამბა დუბელირისა, დაარსა ჟურნალი „კრებული“, შემდეგ „კვალი“. „კვალის“ გამოცემის დროს ჩაისახა ახალი მიმართულება მესამე დასელთა, ასპარეზზე გამოვიდნენ ახალგაზდა მწერალნი, გიორგიმ შეამჩნია ეს მოვლენა და მაშინავე თავის „კვალში“ მისცა მათ ბინა.

ნივთიერი მდგომარეობა გიორგისაც არ უწყობდა ხელსა, რომ უვალოდ გამოეცა „კვალი“, თავის ჯიბიდან ბევრს ადებდა. გიორგის პირველი მეუღლე იყო ნიკოლაძის ქალიშვილი, ნიკო ნიკოლაძის და, მეორედ იქორწინა „ჯეჯილის“ რედაქტორზე, ანასტასია მიხეილის ასულ თუმანიშვილზე. ახლად დაქორწინებულთ შევხვდი ს. ბრილში ნიკო დიასამიძისას. ნიკომ შესანიშნავი ნადიმი გადაიხადა თავის სახლში. ანასტასიასთან მეუღლეობით ცოტა გამოკეთდა „კვალ“-„ჯეჯილის‘‘ საქმე, მაგრამ მაინც უჭირდათ, რადგან მაშინაც ჯერ კიდევ ხალხი, მასსა, არ იყო დაინტერესებული წიგნების და ჟურნალ-გაზეთების კითხვით. დიდი ჯაფა და ენერგია იყო საჭირო ჟურნალ-გაზეთების გასავრცელებლად. პროვინციაში, რაც შეიძლებოდა, ვეშველებოდით, ძალის-ძალათ ვაწერინებდით, ვშოულობდით მკითხველებსა. თუ გასაკიცხი რამ წერილი გამოერეოდა ჟურნალ-გაზეთში, ვაი რედაქტორს! მაშინვე ქოქოლას მიაყრიდნენ და აღარ გამოიწერდნენ. ბევრი უსიამოვნობა მიაყენეს ჩემი ნაწერების გამოც. 1893 წლ. „კვალში‘‘ დავიწყე მუშაობა. ,,ივერია‘‘ ამ წლიდან ილიამ გადასცა ბ. მევედეს (დ. მიქელაძეს), ამან შეადგინა ახალი რედაქცია და ჩვენ ძველი თანამშრომელნი ,,ივერიისა‘‘, გამოგვცოცხეს, აღარ გვიკადრეს. მე შევეკედლე გიორგი წერეთელს, მაგრამ ჩემმა სურათებმა ‘‘დღიური ბიძია თომასი‘‘ ბევრი მტერი შესძინა. ეს სურათები იბეჭდებოდა ,,ივერიაში‘‘, გაგრძელება ,,კვალში‘‘ დავიწყე. ამის გამო ჩემსა და გიორგის შორის მიწერ-მოწერა გაიმართა, მაშინ მე ფოთში ვიყავი. აი პირველი წერილი გიორგისა;

„ძმაო სოფრომ, შენმა სურათმა „ბიძია თომას“ ნაამბობმა საშინელი აურ-ზაური აგვიტეხა. ერისთავები ყალყაზე დადგენ. ჩვენ ვართ შიგ აწერილიო, კოტე ერისთავი როგორ გაგვილანძღეთო! არც ერთმა ერისთავმა „კვალი“ აღარ გამოიწერა. ამისთვის შენი მოვალეობაა, რაც აქ მოგვაკლე ხელის მომწერლები, მაღ შეგვისრულე, თორემ გაზეთი ველარ შეძლებს გონორარი მოგცეს შენ ლამაზ სტატიებში, აბა დაფაცურდი, ბევრი ხელის მომწერლები იშოვნე და ფული მოგვაწვდინე მათგან. ამასთანავე შენი მჭრელი კალმის ნაშრომსაც ნუ მოგვაკლებ. ტასომ სიყვარულით მოგიკითხა.

შენი მოყვარული **გ. წერეთელი**

13 იანვარი 1894 წ.“

შემაწუხა ამ ამბავმა; დავფაცურდი და კარგა ბლომად ვიშოვნე ხელის მომწერნი და ფული მივაშველე, თან ბოდიში მივსწერე, რომ ჩემმა ნაწერმა

ასეთს უსიამოვნობაში ჩავგდო. ვსწერდი, როგორც მახსოვს, რომ არავინ ერისთავთაგანი არ მყოლია სახეში და თუ ვინმემ თავისი მახინჯი სახე იცნო სარკეში, რა ვქნა—მეთქი. პასუხად გიორგიმ მალე მომწერა:

„ძმაო სოფრომ. მოგიკლია ერისთავების შესახებ ბოდიშს იწერები. მე ხუმრობით მოგწერე, თორემ სწერე, ოღონდ შენებური ცოცხალი კალმის ნაწერი იყოს და ტიპები იყოს გამოყვანილი, თორემ ჩვენ ვის რას დავდევთ, საქმეც ეგ არის, რომ წიწმატობენ, სჩანს თავიანთ სურათს ხედვენ და ჩვენც ხომ ეს გვინდა, რომ მახინჯს თავისი თავი სარკეში დავანახვოთ. ეგ კიდევ რა! ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ ძველ კაცებზე უფრო კიდევ ახალგაზდები წყრებიან. ჩვენი ინტელიგენცია!.. ღმერთო ჩემო, რა ნაირად დაეცენ. ლამის ჟანდარმები არ მოიწვიონ, როცა მათ სტატია რამე არ მოეწონებათ. ღმერთო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმონან. შენი ფოთი მარჯვეთ არის. იქნება სამეგრელო-გურიისკენაც მიაწვდინო ხმა, რომ ჩვენი „კვალი“ გავრცელდეს. შენ წერე, ძმაო-ჯან, წერე. შენი „ბიძია თომას დღიური“ აწყობილი გვაქვს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოთავსდა გაზეთში, რადგან ნინოშვილის მოთხრობამ აღარ დაგვანება ადგილი იმ კვირაში დაიბეჭდება. „კაზბეკის მოგონება“ როგორ ბრძანდება? როდის მოგვაწვდენ? შენს ერისთავს პოლტავაში მივაწვდინეთ გაზეთი „კვალი„. ბიჭო, ვინძლო ერთი ფულით დაგვეხმაროს. იონა მამიკითხე და თხოვე ჩემმაგიერად რამე დაწეროს „კვალისათვის“. ყოვლად სამღვდელ გრიგოლის ლოცვა-კურთხევა შენის მეოხებით გადმოავლინე რედაქციაზე. ტასომ სიყვარულით მოგიკითხა.

შენი მოყვარული ძმა **გიორგი წერეთელი**

3 თებერვალი 1894 წ.“

P. S. გიგზავნით კვიტანციებს და გთხოვთ გაისარჯოთ და გადასცეთ თქვენ კანცელარიაში.

**ან. წერეთლისა.**

ამ წერილში მოხსენებული პოლტაველი ერისთავი ვახტანგ მეფის დროს გადასულ ერისთავის ჩამომავალია. პოლტავიდან ალექსანდრე მღებრიშვილმა მომწერა, რომ ერისთავი ძიელ მსურველია თავისი ძველ სამშობლოს გაცნობისა, ჟურნალ-გაზეთები გამოუგზავნეთო. მეც მივწერე გიორგის და გაუგზავნა. ფულით დახმარებაც ვსთხოვე, როგორც მახსოვს, მღებრიშვილს შუამდგომლობით, მაგრამ ერისთავი იმ ხანებში გარდაიცვალა და ვიდა შეგვეწეოდა.





**ირ. ევდოშვილი**

განკურნების გამო

# არონ შეენც?!

ბიბლიური სურათი ერთ მოქმედებად

**მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:**

**რუბენ** —ახალგაზრდა მიმდევარი ქრისტესი
**სარა**—ცოლი რუბენისა.
**არონ**—ნაამხანაგარი რუბენისა.
**მხედართმთავარი.**—რომაელი
**ოთხი მხედარი.**

სცენა: გეთსიმანიის ბაღი, მშვიდი, სულგანაბული. ერთი მხრით მოსჩანს ზეთისხილის მთა, მეორე მხარეს ქ. იერუსალიმი. სალამოა, მზე ნელ-ნელა ეფარება მთებს, რუ ნელა მიიპარება ბალახებში. ნელი სიო დასისინებს და არხევს ფოთლებს. ისმის იადონის გალობა ფარდის ახდისას დიდ-ხანს სიჩუმეა.

**I**

**რუბენ** და **სარა** (გამოდიან გადახვეულნი)

რუბენ. აქ დავისვენოთ. როცა კარგა დაღამდება, მაშინ შევიდეთ იერუსალიმში, რომ არ გვიცნონ. (პაუზა) აი, ეს ის ადგილია, ჩემო სარა, სადაც ამ რამდენიმე წლის წინად შეიპყრეს ჩვენი რაბი იეშუ. აქ მოსჭრეს ის ხე, რომელსაც უნდა გამოეღო ნაყოფი ძმობა-სიყვარულისა (თაყვანცემის ნიშნად თავს დაიხრიან).

სარა. არა უშავს-რა, რუბენ. ყოველ მოჭრილ ხის ძირში ახალი ყლორტები ამოდის და ხშირადა ხდება კიდეცა, რომ უფრო ნაყოფიერნი გამოდიან და აი ჩვენც...

რუბენ (აწყვეტინებს აღტაცებული). იმ ყლორტების მაგიერობა უნდა გავსწიოთ, არა? ხომ ეგ უნდა გეთქვა, სარა? ა?.. მითხარი, მითხარი, ჩემო კარგო. მითხარი კიდევ ეგ სიტყვები,

რომლის მზგავსი კარგა ხანია ჩემს ყურებს არა ჰსმენია და გულს დაობლებულს მკურნალ მალამოდ არ დასდებია. (ეხვევა და ჰკოცნის) წავიდეთ, ჩემო სარა, და გზადაგზა ყველგან ჩვენი გალილეველ რაბის სიტყვები ვიქადაგოთ, ვიდრე მივახწევთ დანიშნულ ქვეყანას—ივერიას, სადაც ჩვენი მოვალეობა მიგვიწვევს. რაც უნდა დაბრკოლება შეგვხვდეს, რომელსაც, ეჭვი არაა, ხშირად ვიგემებთ—არ შევუშინდეთ. ხომ თანახმა ხარ, სარა? ხომ არ შეგეშინდება ამ ეკლიან გზაზე სიარულისა? ა?... (დასხდებიან)

სარა. არა, რუბენ. მე ყველაფერს ავიტან თამამად. აკი გითხარი დილასა, რომ შენთან შეუღლების პირველ დღიდანვე შევიგენი, რაც მომელოდა ცხოვრებაში; და შენი რწმენა ხომ ჩემიც არის. მე სიამოვნებით ვუსმენდი ხოლმე რაბუნ იიშუს, როდესაც ის ჰქადაგებდა ჩვენს ქალაქში. ხომ გახსოვს ქანააში რომ მოხვედით და ღამე ჩვენსა გაათიეთ?

რუბენ. მახსოვს... მახსოვს, საყვარელო. ოჰ! რა აღფრთოვანებით ვეგებები შენგნით ჩემი ტანჯვის შემსუბუქებას, შენი სიტყვები და გულწრფელი სიყვარული ძალას მიათკეცებს და მამხნევებს. ეგრე, ეგრე, სარა! შენ ჩემი ტვირთის შემამსუბუქებელი უნდა იყო. ხომ გახსოვს რაბუნ იიშუ გოლგათოზე რომ მიჰყავდათ საწამებლათ?

სარა. მახსოვს... შორი-ახლოს რომ მივდევდით.

რუბენ. ისიც ხომ გახსოვს, სისხლის დენისა და ცემისაგან ძალა-გამოლეულმა ჯვარი რომ ველარ ზიდა და დაეცა შუა გზაზე?

სარა. მახსოვს ეკლის გვირგვინით... საბრალო მარიამ-მაგდალინელი... რარიგ უყვარდა. როგორა ღვრიდა მდუღარე ცრემლებს... (იცრემლება)

რუბენ. ჰო და ისიც ხომ გახსოვს, პილატეს მხედრებმა სვიმონ კვირონელი, რომ მიაშველეს და იმას აატანინეს მწვერვალოზე ჯვარი?

სარა. კაპერნაუმში რომ შეგვხვდა? გულკეთილი კაცი უნდა იყოს.

რუბენ. სარა! შენ ჩემთვის ისეთივე უნდა იყო, როგორც სვიმონ კვირონელი რაბუნ იიშუსათვის, მხოლოდ ერთის განსხვავებით: ის თუ ჯარის-კაცებმა მიაშველეს, რომელიც სიამოვნებით იკისრა სვიმონმა, შენ უნდა შენმა სიყვარულმა გიკარნახოს ესა.

სარა. მესმის, მესმის რუბენ... (მიეყრდნობა რუბენს თავით გვერდზე და სტირის ჩუმად) ოოჰ! რა ხარ, სიყვარულო?., ვთმობ საყვარელ კაცის გულისათვის დედ-მამას, მახლობელთ, ძმებს, დებს და მშობელ ქვეყანა. (პაუზა)

რუბენ. ბიძია ანდრია მატყობინებს, რომ ღრმად მოხუცდი, აღარ შემიძლიან დაწყებულ საქმის განგრძობაო, მომეშველეთ, ახალი ძალებია საჭიროვო.

სარა. შორს არის ის ქვეყანა?

რუბენ საქართველო?.. შორსა ყოფილა; შავი ზღვისპირას. ორ-სამ თვეში მივალთ. (დიდი პაუზა. რუბენი წამოდგება და გულ-ხელ დაკრებილი, ნაღვლიანად გადასცქერს იერუსალიმს. სარა ჩაფიქრებული ზის) ვაი შენ, დასაბამიდან მარად ტანჯვაში მყოფო იერუსალიმო! (პაუზა) ოჰ, იერემია! ნუთუ მართლა უნდა აღსრულდეს შენი გოდება? ნუთუ მართლა უნდა დაინგრეს იერუსალიმი? (პაუზა) ჩემო საყვარელო სამშობლოვ?.. როდის გეღირსება მშვიდობა? როდის მოესწრები აღდგენას?.. (პაუზა) ჰოი, უმადურო ხალხო ისრაელისაო! რისთვის გასწირე ძე დავითისა? განა შენ არ იყავი, რომ ბზის ტოტები გაუშალე ფერხთა-ქვეშე და „ოსანა" უგალობე?! როგორ მოგატყუა სხვადასხვა დიდების დაპირებებმა ანნა-კაიაფა მღვდელ-მთავართა-მიერ? ნუ თუ არ იცოდი, რომ, რომელ ხეზედაც იდექი, იმასვე სჭრიდი ძირში, როდესაც იიშუს მაგიერ ავაზაკი ბარაბას განთავისუფლება მოითხოვე? (იცრემლება) ნეტავი მეღირსება კვლავ დაბრუნება და ნახვა შენი, დაღუპულო პალესტინავ? გულ-დაკოდილი გეთხოვები მშობელო კერავ, რომ შემდგომ, ჟამსა დაბრუნებისას, გიხილო შენ აყვავებული და სულიერად ამაღლებული, რომ აღგეზარდონ მამაცნი შვილნი და გაენთავისუფლებინე მათ, მოსეულ და შინაგან მტერთაგან მოჭერილ რკინის სალტესაგან. ოჰ, რა სიამოვნებით განვიმეორებდი და ეხლაც ვამბობ: „განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმო!" (სარას) ჩემო იმედო, მოდი, გადაჰხედე უკანასკნელად რომაელთაგან შექმნილ მონობის ბუდეს.

სარა. დიმშვიდდი, ჩემო რუბენ. (მივა და მოეხვევა) რომაელთ შებრალება არა სჩვევიათ.

რუბენ. შეჰხედე სარა, იროდისა და პონტოელის სასახლეებს, როგორა ბრწყინავენ ჩამავალ მზის სხივებზე? ჰხედავ ტაძარსა იელოვისას? იმ ტაძრიდან განდევნა რაბუნ იიშუმ ვაჭარნი, იმ ტაძრიდან ამხილა ფარისეველ-მწიგნობარნი. აი, სწორედ იმ ტაძრში და სასახლეში სწყვეტავენ ბედსა ბედ-კრულ ურიასტანისას. (ისმის ხმაურობა და დიდინი მგზავრთა, სარა შეკრთება)

სარა. რაღაც ხმაურობა ისმის, რუბენ. (ყურს უგდებს)

რუბენ. (სცენის სიღრმეში გადის და ათვალიერებს. პაუზა) მგზავრნი არიან. ეტყობათ პასექზე დასასწრებლად მიდიან. აი გადაჰხედე, იერუსალიმასაკენ ჩაუხვევს. (ხმაურობა თანდათან სწყდება შორს)

სარა. საშიშო არ-არის აქ ყოფნა? ხომ იცი, რომ სდევნიან ყველა ახალ აზრებით გატაცებულს და, მათ-შორის, შენცა.

რუბენ. რისა გეშინიან, სარა? აქ არა გვიჭირს-რა. ბევრჯელ დაუფარავს ამ მტილს დევნილნი. ბევრჯელ ჰქონია რაბი იიშუს გეთსიმანიის მწვანე ბალახი სასთუმლადა მოგზაურობით და ფარისეველებთან ბრძოლით დაქანცულს.

სარა. მერე და აკი აქ შეიპყრეს კიდეც.

რუბენ. რომ შეიპყრეს, მოწაფემ გასცა. იუდასთვის ოცდა ათ ვერცხლს რომ არ აექრელებინა თვალები, ვერ შეიპყრობდენ. ბიძია ანდრიასაგან გაგებული მაქვს საიდუმლოდ სერობის ღამეს მომხდარა ამბავი; რაბუნ იიშუს რომ ეთქვა: თქვენთაგანი ერთ-ერთი გამცემსო, ისკარიოტელს სახე ასწითლებოდა და გვერძე დაეწყო ყურება, არ გამიგონო, მაგრამ იიშუ თურმე ჰგრძნობდა ყველაფერსა და არაფერს ეუბნებოდა პირდაპირ. მოწაფენიც მიმხვდარიყვენ და უნდობლად უყურებდენ თურმე. იუდის ამბორით იცნეს იიშუ აი ამ ადგილას. ეჰ, იმნაირებმა დაჰღუპეს, ჩემო კარგო, ჩვენი წმინდა საქმე.

სარა. რაღად ჩამოიხრჩო თავი?

რუბენ. სინდისის ქენჯნა ვერ აიტანა. იმას ეგონა, იიშუს მარტო საპყრობილე მოელოდა. ისიც მოატყუილეს; და როცა გაიგო, რომ სინედრიონმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა იიშუს,—ვერცხლი უკან მიუყარა და მეორე დღეს, აი, იმ ტოტზე ნახეს ჩამოკიდებული. არა ჰგავდა ახლანდელ ჯაშუშებს, რომელნიც სინანულის მაგიერ ამაყობენ კიდეც თავიანთი ნამოქმედარით, და დაგვხარხარებენ მათ მსხვერპლებს. (ნელ-ნელა ბნელდება. სარა დაჯდება ძირს, რუბენი წამოწვება და თავს კალთაში ჩაუდებს სარას. სარა ეალერსება რუბენს. რუბენიც ჰპასუხობს. დიდი პაუზა. ამ დროს ჩუმად შემოიპარება არონი და ხეს ამოეფარება)

(დასასრული შემდეგ №-ში)

**ს. ერთაწმინდელი**

## დღეს იგი აღსდგა...

...ის, ვინც დაამხო ძველი კერპები,
ახალ ცხოვრების იქმნა ცისკარი,
ვინც ფარისეველთ, მტარვალ-ჩაგვრელთა
ამცნო ცოდვანი, დასცა თავზარი;
ვინც მცნებად მოგვცა ჩვენ სათნოება,
ძმობა, ერთობა და სიყვარული,
ვინც თვით შეება ბოროტებასა,
რომ ტანჯვათაგან ეხსნა ჩაგრული,
ვისაც გამცემლთ ბოროტის ენით
ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე,
ვინც უსამართლო სამართლის ძალით
სასიკვდილოთა გააკრეს ჯვარზე,—
დღეს იგი აღსდგა ძლევამოსილი,—
სიკვდილით ჰპოვა სიცოცხლე გრძელი,
მაშვრალთ კერაო, გაგიხაროდენ,
ბნელში წინ გიძღვის, ვითარც კანდელი...
მიტომც გილოცავთ წმიდა აღდგომას,—
ახალ მესიის დღესასწაულსა,
რომ მოეხმაროთ ჭირთაგან ხსნაში
ყველა ტვირთმძიმეს და დაჩაგრულსა..

**გ. შინატეხელი**

## ჩემი ნატვრა

ერთია მხოლოდ ჩემი სურვილი,
ჩემი ნატვრა და ჩემი წყურვილი:
სადაც კი არის ჩაგრული ერი—
მსურს აღსდგეს, გახდეს ის ბედნიერი!

არ იჩაგვროდეს არსად არავინ,
ყმაწვილი იყოს, გინდა ხნიერი...
ერთსაც ვინატრი, რომ ჩვენი ერი
იყოს ნასწავლი და ბედნიერი!..

**ვ. კირვალიძე**

# ბუნება და ცხოვრება

(მესამე წერილი.—ფრანგულით)

იგივე გ. ლებონი (იხ. ,,თ. და ც.'' № 3) უჯრედის სიცოცხლის შესახებ შემდეგს ამბობს:

სიცოცხლის ყოველგვარი მოვლენა, სხეულებრივი, გრძნობიერი თუ გონებრივი დამყარებულია ცოცხალ ნივთიერებასა, ესე იგი პატარა უჯრედების კრებულის მოქმედებაზედ. ესენი ასხვაფერებენ თავის მუშაობას სხეულის მოთხოვნილებისამებრ, რომელიც მუდამ ცვალებადია. ეს მუშაობა ისეთის სისწორით სრულდება და განსაკუთრებულის ლოღიკის შეფარდებით, რომელიც ჩვენსას ბევრად და ბევრად აჯობებს.

თვითეული უჯრედი ისე იქცევა, თითქოს გაცილებით უფრო უმაღლესი გონიერება ხელმძღვანელობდეს მას, შედარებით უუდიდეს გენიოსთა გონიერებასთან. ყოველ ჟამს ეს პაწაწა უჯრედები ისეთს რთულ საქმეს არიგებენ, რომ ადამიანმა თავის გონებით ესევე შესძლოს, იგი დანარჩენთა შორის ისე მაღალ პიროვნებად იქნებოდა ცნობილი, თითქმის შესაძლო იქნებოდა მისი ღმერთად დასახვა.

რომელიმე რძით-მკვებავი არსების სხეული უნდა მივიჩნიოთ ვეებერთელა ქარხანად, სადაც მრავალი მილლიარდი თვალთუჩინარი ნაწილაკია და თვითეული მათგანი-კი მომქმედ მუშას უდრის. ხოლო ყველანი ნერვების ცენტროთა გამგეობის ქვეშ იმყოფებიან.

ეს მუშა-უჯრედები ჯგუფებად დაიყოფიან, რომელთაგან თვითეულს მეტად ძნელი მუშაობა აქვს ნაკისრი. მთელი ჯარი პატარა ქიმიკოსებისა განუწყვეტლად აკეთებს მეტად რთულ ნაწარმოებს, რომელსაც მუშების სხვა ჯგუფი ქარხნის სხვადასხვა ნაწილებში ეზიდება სხეულის—ორგანოების სარჩენად. ამ საზრდოობას მრავალი გადასაყრელი რამ რჩება, რასაც განსაკუთრებული მუშები განსაკუთრებულ გარედ გასატან მილებისაკენ ეზიდებიან, რომელთა მუშაობაც აგრეთვე განუწყვეტელია.

ჩვეულებრივ ქარხანაში მუშაობა საადვილოა, რადგანაც თვითეული მუშა მუდამ ერთგვარ სამუშაოს ასრულებს. ცოცხალ ქარხანაში-კი, მუშამ უნდა წამდაუწუმ განასხვაოს თავისი მუშაობა მრავალ სხვადასხვა გარემოების მიხედვით. თანაც თავი უნდა დაიფაროს მრავალ მტერთაგან, რომელთაც საწინააღმდეგო იერში მოაქვსთ სხვადასხვა ნაწარმოების გაჩენით, მუშათა მოქმედების გასაბათილებლად. ამავე ქარხანაში მრავალფეროვანი საწამლავი კეთდება სავნებელად ამხედრებული, მაგრამ უჯრედები მყისვე მოწინააღმდეგე საწამლავს გამოსცემენ, ისეთს, რომელიც პირველს კრიჭაში ჩაუდგება და რომლის რთული ნაწილები გარემოების და მიხედვით ცვალებადია.

ამ მუშა-უჯრედების განსაცვიფრებელი მუშაობა, მხოლოდ მრავალ საუკუნეთა კვლევა—ძიებამ დაადასტურა, მაგრამ ამ დადასტურებამ ვერაფერი ვერ გვითხრა ძალთა ბუნების შესახებ, რომელიც ამ მუშაობას მეთაურობს. პატარა ჭია რატომ გარდაიქმნების პეპელად? თესლი რატომ გარდაიქმნების ამწვანებულ ხედ? ზღვის ძირის თევზებმა როგორ მოიპოვეს ცეცხლის თვალები, რომელთა მოწყობილებაც ახლანდელ კანდელის ლამპარზედ უფრო რთულია და რომელთა საშუალებით, ეს თევზები ბნელში გზას ინათებენ? როგორ ახერხებს მცენარის ქლოროფილის უჯრედი, რომ მზის სხივოსნობას მიიზიდავს და გარდაჰქმნის მათ ნახშირმჟაველ და ნახშირბადად, რომელთა საშუალებითაც მცენარე მისთვის საჭირო სახამებელსა და შაქარს აწარმოებს? ამ კითხვებზედ არავითარი პასუხის გაცემა არ შეიძლება.

უჯრედის სიცოცხლე რთულია და ამის მისაგნებად დიდი სხეულის დაკვირვება-კი არ არის საჭირო, არამედ სულ მარტივ ერთ-უჯრედიან ხხეულისაც საკმაოა, როგორც მაგალითად ბაქტერიების.

ეს ერთ-უჯრედა არსებანი თითქოს მეტად მარტივნი არიანი, მაგრამ მათი მოქმედებაც-კი ჩვენთვის გაუგებარია, ზოგიერთი მათგან წარმოებული ქიმიური სითხე ძალიან მეცნიერულ ანალიზითაც-კი მიუგნებელი რჩება.

ავიღოთ რომელიმე ბაქტერიუმი, რომელიც, მაგალითად, ზოგიერთ დიდი ხნის დარჩენილ სითხეში ჩნდება, მისი ზომა ერთი მილიმეტრის მეათასედებით გაიზომება; ეს პაწაწინა სხეულები პატარა ჩხირის მსგავსნი არიან, რომ-

ლის შუაგულში გასაშენებელი უჯრედია, ირგვლივ გარსი აქვს შემოვლებული. ეს ბაქტერიუმი გრძელდება და მალე მეორეს თავისს მსგავსს აჩენს. ამნაირად ვსჭვრეტთ სიცოცხლის პირველსავე საფეხურზედ რაღაც უცნობ ძალას, რომელიც ერთი უჯრედიდან სხვა რამდენიმე უჯრედს აწარმოებს.

მარტო ეს, გაჩენის ანუ გამრავლების ნიჭი-კი არ არის ყველაზედ უფრო გაუგებარ მოვლენად დასასახი უჯრედის სიცოცხლეში. ესევე ბაქტერიუმები მეტად რთულ მუშაობას ეწევიან, მაგალითად მკვდარ სხეულს ჰხრწნიან და გამორკვეულ ქიმიურ ნივთიერებად გარდაჰქმნიან, რომელნიც შემდეგ ცოცხალ არსებათა წარმოშობას უნდა გამოადგეს. ქვეყანა რომ ზოგიერთ ჯურის ბაქტერიუმებს მოკლებული იყოს, დედამიწის ზურგი მთლად მოფენილი იქმნებოდა გამხმარ ცხედართა სქელის გროვით და სიცოცხლეც დიდი ხნის დაშრეტილი იქმნებოდა ჩვენს მნათობზედ. ბაქტერიუმთა წყალობით ერთი და იგივე ნივთიერება დაუსრულებლივ გამოადგება ხოლმე ცოცხალ არსთ, რომელნიც დროთა აურაცხელ ტრიალში ერთი მეორეს მისდევენ. არსნი გარდაიცვლებიან და განუწყვეტლივ ხელახლად იბადებიან.

ზოგიერთ უჯრედებს შეუძლიათ მადნეულ ნივთიერების ცოცხალ ნივთიერებად გარდაქმნა, ზოგსაც განვითარება—დასრულებულ ცოცხალი არსების მადნეულად გარდაქმნა. ეს ორი მოქმედება ურთიერთის მოპირისპირეა, ხოლო მათი სირთულე მეტად დიდი.

**ვახ. ლამბაშიძე**

## საბავშვო დილა

კვრას, 3 მარტს, „ჯეჯილი-“ს რედაქტორ-გამომცემელმა, პატივცემულმა ან. მ. წერეთლისა, ამ ჟურნალის სასარგებლოდ გამართა საბავშო დილამ რომელზედაც წარმოდგენილი იქმნა პიესა „ყვავილთა შორის“, საკონცერტო განყოფილებით, დაკლებული ფასით. წარმოდგენამ კარგად და მწყობრად ჩაიარა. ბავშვებს კარგად დაესწავლათ თავისი სათამაშო როლები და საკმაოდ თამამადაც თამაშობდნენ. საგანგებოდ შეკერილი ტანთსაცმელი ძალიან უხდებოდათ და საერთო შთაბეჭდილება სასიამოვნო იყო, როგორც ბავშვებისათვის, აგრეთვე დიდებისათვისაც.

მადლობის ღირსია ,,ჯეჯილი‘‘-ს რედაქცია, ასეთი კარგი დილის გამართვისათვის.

მეტად საჭიროა ამგვარი გასართობის გამართვა, რადგანაც ჩვენი ბავშვები მოკლებულნი არიან დედა-ენაზედ ყოველგვარ გასართობს და თუ ეხლავე მათს გრძნობას არ მოხვდა ცოტა რამ მშობლიური, დიდობისას ისინი ყოველთვს ზურგს შეაქცევენ ქართულ წარმოდგენას და სულ სხვა მხარეს გაიწევენ. ამიტომაც ამ გრძნობასაც, როგორც ყოველ სხვა გრძნობას, საზრდოობა უნდა. საჭიროა საბავშვო წარმოდგენების რეპერტუარის გაძლიერება, როდესაც ამდენი ბავშვი ეტანება თეატრს. ამას დიდი შერმისი ექნება და მნიშვნელობაც ძლიერი და წარუხოცელი.

ამისთვის დიდებისათვის პიესების დამწერთ, ხანდახან, ნუ დაავიწყდებათ ეს ქონდრის ხალხიც,— ჩვენი ნორჩი თაობა, რომელთა სიცოცხლით აღსავსე თვალები ყოველ საბავშვო წარმოდგენის დროს სცენას ისეთის ცნობის-მოყვარეობით შესცქერიან, რომ დიდებსაც-კი გადააჭარბებეს ხოლმე.

ამისათვის მუშაობა საჭიროა და, ვისაც შეუძლია, არც უნდა დაიშუროს. **მეთვალყურე**

## წვრილი ამბები

✦ **დრამატურგი ი. გედევანიშვილი** სწერს „სინათლე“ ს მეორე ნაწილს

✦ **კ. ბალმონტი,** რუსეთის გამოჩენილი მგოსანი, 13 და 14 აპრილს თბილისს ესტუმრება და წაიკითხავს ლექციას „ხელოვნება როგორც ჯადოსნობა“.

**ი. გრიშაშვილის** ლექსები უკვე დაიბეჭდა. წიგნი გამოცემულია ფრიად მშვენივრად ქართ. სიტყვაკაზმ. საზოგადოების მიერ. შეიცავს 226 გვ. ჰღირს 1 მ. დართული აქვს ავტორის სურათი და ფაქსიმილე (მთელი ლექსი).

**რუსეთის შესანიშნავს მგოსანს კ. ბალმონტს,** როგორც შევიტყეთ, განუძრახავს ქართული ენის შესწავლა, რათა დედანში წაიკითხოს „ვეფხის ტყაოსანი“ და ისე შეუდგეს თარგმვნას.

✦ **ბარბარე ვლ. ალექსი-მესხიშვილის ასული** სუხოდოლსკის დრამატ. დასში მიიწვიეს მოსკოვს.

✦ **წარმოდგენისათვის ნება დასართველად** კავ. უმაღლეს მთავრობასთან წარდგენილ იქმნა ახალი პიესა „პანსიონის ზღუდეთა შორის“, დრამა ვებერისა, თარგ. ალ. იმედაშვილისა.

✦ **ქართ. დრამ. საზ-ის საზოგადო კრება** მოხდება მაისის პირველ რიცხვებში.

✦ **ახალ პიესას** „ნაპოლეონის მხიარულ დღე“-ს სთარგმნის მ. ფ. ქორელი.

✦ **დიმიტრი მოს. დუმბაძე,** „ზაკავ. რეჩ“-ის რედაქტორი და დრამ. საზ. გამგეობისა და სცენის მოღვაწეთა ყრილობის მომწვევ კომისიის წევრი, ქართ. სცენის მოღვაწეთა პირველ ყრილობისათვის ამზადებს მოხსენებას „მოძრავი თეატრი პედაგოგიურის თვალსაზრისით“.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებ-
რივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი




**იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.** ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

**ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.**

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

**ჟურნალის ფასი:** წლიურად—5 მ, (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ., თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

**ხელისმოწერა მიიღება:** ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („ორაპანის" სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифлисъ, ред. жур. „**Театри да Цховреба**" Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

# ფიქრი

**საორშაბათო სრულ პროგრამიანი ყოველკვირეული სალ. და საპოლ. გაზეთი.**

**მიიღება ხელის მოწერა:** წლით—2 მ., ნახევარ წლით—1 მ., თვით 20 კ., თითო №—5 კ. საზღვარ გარედ—ორჯერ მეტი.

მისამართი: Тифлисъ, Баронская ул., Типогр. „Надежда" для „**Пикри**"—Константину Лукичу Копалейшвили.

პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილით 11 12 ს., საღამოს 5—6 ს.

---

**გამოდის ქუთაისში 3 მარტიდან ორშაბათობით**

# შრომა

**სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.**

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред, еженед. груз. газеты „**Шрома**".

---

**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.**

წელიწადი მეოთხე

# თემი

წელიწადი მეოთხე

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

**გამოდის ორშაბათობით**

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ **2** საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება **აკაკის** პოემა „**რაჭა-ლეჩხუმი**", რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) **ნ. ა. დუბროვსკის** თხზულებას „**ავგუსტ ბებელი**", რომელიც საკუთრად „თემი"-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემი"-ს რედაქციაში (ოლგას ქ, სახ. დიასამიძისა, № 4).

**ფასი გაზეთისა:** წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

მისამართის გამოცვლა თბილისს გარეშე 40 კ.

მისამართი: Тифлисъ, Ольгинская № 4, д. Діасамидзе, редакція газ. „**Теми**".

რედ.-გამომცემელი **გრ. დიასამიძე**

სტამბა „გერმესი", გრაფის ქუჩა № 6. Тифлисъ, тип. „Гермесъ"

# მიიღება დასაბეჭდად განცხადებანი

**ექიმი ა. ო. იაშვილი**

(თბილისის საქალაქო 1-ლ ნაწილის მკურნალი)
შინაგან ავადმყოფობათა.
დილით 8—10 ს., საღამოთი 5—7 ს.
წყნეთის ქ., № 19.

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

(ორდინატორი თბილ. სარკინის გზო საავადმყოფოსი)
კანის, ვენერიული და ათაშანგისა
შუადღით 1—2½ ს., საღამოთ 6—8 ს
მოსკოვის ქ. № 4.

**ექიმი ივ. გ. გომართელი**

შინაგან ავადმყოფობათა
დილის 8—12 ს.,
საღამოთი 5—7 ს.,
ოლგას ქ., № 20,
ტელეფონი № 6—33.

კბილის ექიმი

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს
დილის 9—2 სათ., საღამოს 5—7 სათ.
გოლოვინის პრ., № 13

**ექიმი ვ. დ. ლამბაშიძე**

შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობისა.
ვარდის უბანის ქ. № 9.

**ექიმი გ. გ. მაღალაშვილი**

შინაგან ავადმყოფობათა
დილით 11—12 ს., საღამოთი 5—6 ს.
ოლგას ქ. № 39.

**ექიმი ნ. ე. [illegible]იკანაძე**

(თბილისის საქალაქო მკურნალი)
შინაგან სნეულებთა
დილით 8—10 ს.
კიროჩნი ქ. № 18.

ხელოვნურად სამკურნალო და შეზავებული ხილეულობის წყალი

## მიტროფანე ლაღიძე და ამ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან. წმინდა შაქარით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

**გემო და სუნი საამური აქვს**

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისთვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება; თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 4-11. ქუთაისში—პუშკინის ქ. № 5.

(10—3)

ახალი წიგნი



## ნ. ჩხიკვაძე

ფასი ათი შაური

მიიღება ხელის მოწერა ჟურნალ-გაზეთების ყველა აგენტებთან. ხელის მოწერა გაგრძელდება მხოლოდ მარტის დამლევამდე; დაბრუნებული კვიტანციები და ფული უნდა გაეგზავნოს **ქ. ბათომში, იაკობ ბეჟ. ჩხიკვაძეს.**

გამომც. იაკ. ბეჟანის ძე ჩხიკვაძე

(3—3)

## სანატორიუმი

## ექ. ვახტანგ ლამბაშიძისა

**პატარა-ცემში, ბაკურიანის გზაზე**

**ქალ-ვაჟთათვის 8—15 წლამდე**

დაწვრილებითი პირობები მსურველთ გაეგზავნებათ ფოსტით მოთხოვნილებისათანავე.

მისამართი: თბილისი **ექ. ვ. ლამბაშიძე**

(წ.)